ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე საჯელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა

ავტორების მიერ წინამდებარე კვლევაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

2012

სარჩევი

შესავალი 3

ძირითადი მიგნებები 4

1. სასამართლო სტატისტიკა 7

2. სისხლის სამართლის საქმეები ბიზნესთან მიმართებაში 11

3. საპროცესო შეთანხმების გამოყენების ფორმები და მეთოდები 13

4. ბიზნესის ტიპური პრობლემები კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე 14

დასკვნები და რეკომენდაციები 19

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით კოალიციური[1] პროექტის – „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა“ ფარგლებში.

მიუხედავად, 2003-2012 წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა, საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ელიტური კორუფცია დარჩა. ამაზე ამახვილებს ყურადღებას საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ 2011 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ანგარიშიც[2].

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პროექტის მიზანი ნაწილობრივ შეიცვალა: მისი მიზანია არა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების მხილება, არამედ პრევენციისთვის იმ საფრთხეების და გამოწვევების იდენტიფიცირება, რასაც მსგავსი ტენდენციები შესაძლოა მომავალშიც შეიცავდეს. ასევე პროექტის მიზანია იმ ეკონომიკური ეფექტის შეფასება, რომელსაც ელიტური კორუფცია იწვევს ქვეყანაში.

პროექტის ფარგლებში ინფორმაცია მოვიძიეთ შემდეგი მიმართულებით: საქართველოში ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სასამართლო პრაქტიკა – ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დავების სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზი;

ანგარიში მოიცავს 2011-2012 წლების სასამართლო სტატისტიკის ანალიზს, ასევე კონკრეტულ სასამართლო შემთხვევებს 2008-2012 წლების პერიოდში.

ასევე გავაანალიზეთ საერთაშორისო და ადგილობრივი სტატისტიკური და სამეცნიერო კვლევები, რაც მოიცავდა ელიტური კორუფციის საფუძვლებისა და ეკონომიკური ტენდენციების ანალიზს.

---

1 კოალიციური პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი და მწვანე ალტერნატივა.

2 საერთაშორისო გამჭვირვალობის 2011 წლის ანგარიში კორუფციის აღქმის ინდექსის თაობაზე.

ძირითადი მიგნებები

1. საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებაში და ექსპერტებში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი მხრივ საუბარია საქართველოში არსებულ ხელსაყრელ ბიზნეს გარემოზე და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად არსებულ მიმზიდველ გარემოზე, პარალელურად კი მიუთითებენ ღია და თავისუფალი კონკურენციის არარსებობას – საქართველოს ყველა მსხვილ სექტორში არსებული მონოპოლიების ფონზე. მსგავს პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საწარმოო კვლევა (2008), რომლის თანახმადაც, გამოკითხული კომპანიების 52% აღნიშნავს, რომ კონკურენციის გაწევა უწევთ „დაურეგისტრირებელ ფირმებთან". ამგვარად, იმისდა მიუხედავად, რომ არაფორმალური ეკონომიკის ზომა საქართველოში საგრძნობლად შემცირდა, ჯერ კიდევ მწვავედ დგას დაუკვირვებად ეკონომიკაში არსებული მოთამაშეების როლი, რომელთაც შესაძლოა სახელმწიფო მფარველობდეს.

2. ელიტური კორუფციის ძირითადი გამოხატულება არის საჯარო სახსრების გაფლანგვისა და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მხრიდან სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ტენდენციები[3]. ელიტური კორუფციის მსგავსი მაგალითები იწვევს სახელმწიფოს მხრიდან ფავორიტიზმს და შიდა გარიგებებს ბიზნესის ცალკეულ წარმომადგენლებთან[4].

ასეთი გარიგებების დასტურია მაგალითად, მონოპოლიები და არათანაბარი დამოკიდებულება ბიზნესის წარმომადგენლებთან, ასევე საჯარიმო სანქციების დაკისრებისა თუ სასამართლოში საქმეების წარმოების დროს არათანაბარი მიდგომა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2011 წლის ანგარიშში, აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების და ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციით, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა საგადასახადო წნეხის გამოყენება კომპანიების მიმართ; ადგილი ჰქონდა საგადასახადო სტრუქტურების მხრიდან კომპანიების დაჯარიმებას, რაც მათი პოლიტიკური ხედვით იყო განპირობებული. საგადასახადო სტრუქტურები საჯარიმო სანქციებს იყენებდნენ დაშინების მექანიზმად იმ კომპანიების წინააღმდეგ ვისაც კავშირი ჰქონდა იმ დროინდელ ოპოზიციის წარმომადგენლებთან[5].

ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითია გახმაურებული შემთხვევები მედია ბიზნესიდან:

- 2010 წლის საგადასახადო ამნისტიით სახელმწიფომ ტელეკომპანიებს „რუსთავი2", „იმედი" და „საზოგადოებრივი არხი" 2010 წლის 36 მილიონამდე დავალიანება ჩამოაწერა; ანალოგიური აქტი განახორციელა სახელმწიფომ 2012 წლის ოქტომბერში.
- ამავე პერიოდში ტელეკომპანიას „კავკასია"-ს 30 000 ლარის საგადასახადო დავალიანება 2007 წლის გაზაფხულზე ყადაღის გზით გადაახდევინეს. 2011 წელს კი ტელეკომპანია „კავკასიის" მიერ 15 რიცხვში ჩაბარებული დეკლარაციით აღიარებულ გადასახადზე საგადასახადო სამსახურმა იმავე თვის 21 რიცხვში დაადო ყადაღა და მოხსნა თანხები ტელეკომპანია „კავკასიის" ანგარიშებიდან. ყადაღის გზით მოხდა ასევე 2,5 ლარიანი საგადასახადო ნაშთის ამოღება.

წარმოდგენილი ორმაგი სტანდარტი ნათელი მაგალითია ხელისუფლებასთან სახელმწიფოს მხრიდან ფავორიტიზმის, რაც თავისუფალ კონკურენციას უშლის ხელს.

---

3 Betselmann Foundation, 2010

4 Freedom House, 2011

5 http://www.state.gov

3. სასამართლო სისტემის რეფორმა საქართველოს მთავრობის უმთავრესი დეკლარირებული პრიორიტეტი იყო. ამისდა მიუხედავად, იგი ქვეყნის ყველაზე პრობლემურ და არათავისუფალ სისტემად მიიჩნევა. დაბალია ბიზნესის მხრიდან სასამართლო სისტემის ნდობის ხარისხი. ამაზე მოწმობს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2011 წლის ანგარიში, რომელშიც საქართველოში ბიზნესის დაწყებით დაინტერესებული მეწარმეებისთვის მოყვანილია რეკომენდაცია რომ კონტრაქტებში მითითებული იყოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო, როგორც დავების მოგვარების ორგანო[6].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის (2011-2012) თანახმად კი (Heritage Foundation 2012), მეწარეები თვლიან რომ საქართველო სასამართლო დამოუკიდებლობის ხარისხით მკვეთრად ჩამოუვარდება მთელ რიგ ქვეყნებს. რეფორმების მიუხედავად სასამართლო სისტემა ხასიათდება პოლიტიკური ზეგავლენით. ძლიერია მთავრობის გავლენა სასამართლო დავების გადაწყვეტილებებზე, მთელ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს ზეგავლენის გამო მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა, რაც ნიშნავს რომ ქვეყანაში სასამართლო სისტემა არ არის დამოუკიდებელი[7].

იმავე კონკურენტუნარიანობის ანგარიშში უარყოფითად არის შეფასებული საქართველოში არსებული მდგომარეობა კერძო საკუთრების დაცვის კუთხით. საუბარია სასამართლოს მხრიდან ფავორიტიზმზე გარკვეული კომპანიების და საჯარო მოხელეების მიმართ, რაც თავის მხრივ საგანგაშო სიგნალია კერძო საკუთრების დაცვის კუთხით. ამ დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ გაანალიზებული შემდეგი ფაქტებიც:

- საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოში შესული ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობა დიდია. პირველ ინსტანციაში განმცხადებლების უმეტესობა (60 პროცენტამდე) ფიზიკური და იურიდიული პირები არიან. თუმცა ისინი ამ ინსტანციაში მოგებული პროცესებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ადმინისტრაციულ ორგანოებს (დაახლოებით 2/1–ზე თანაფარობით). განსაკუთრებით აღსანიშნავია საგადასახადო დავების საკითხი, სადაც 2011–2012 წლების სტატისტიკით, საქმეების დაახლოებით 81 პროცენტი ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ წყდებოდა.
- სასამართლოსადმი დაბალი ნდობა იკვეთება შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებშიც: 2012 წლის 9 თვის სასამართლო სტატისტიკის თანახმად, ამასთან, ბიზნესმენთა საქმეების უმეტესობა საპროცესო გარიგებით დასრულდა – თითქმის 90 პროცენტამდე. საპროცესო გარიგების ინსტიტუტისა და ამ სტატისტიკის შეფასება დღესაც ბოლომდე ერთგვაროვანი ვერ იქნება. ერთის მხრივ, ეს არის დავის გადაწყვეტის სწრაფი და ეფექტური საშუალება, მაგრამ, კვლევამ აჩვენა, რომ გარიგების ამ ფორმამ საქართველოში საკმაოდ დამახინჯებული სახე მიიღო.
- საპროცესო გარიგებით არის დასრულებული იმ საქმეთა უმეტესობა, რომლებიც ჯგუფის – „ბიზნესმენები საქართველოში თავისუფალი ბიზნესისათვის“ მიერ გამოქვეყნებულ „დევნილ ბიზნესმენთა“ 147 კაციან სიაში შედის. (ეს სია კვლევის პერიოდში გამოქვეყნდა). ამ საქმეებიდან იკვეთება ერთი მთავარი ტენდენცია: სამართლებრივი დევნის დაწყებამდე სიის წევრი ყველა პირი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი იყო, დღეისთვის კი მათი უმეტესობის ბიზნესის მფლობელად სხვა პირი (თუ პირები) გვევლინება, ან ბიზნესი დახურულია. შესაბამისად, ლეგიტიმურია ამ საქმეების გაანალიზება სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის კუთხით.

---

6 http://www.state.gov
7 National Integrity System, 2011

- სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს საქმეები, სადაც ბიზნესმენისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, ქონებრივი დავები საბოლოოდ ბიზნესმენის დაკავებით და მის მიერ ქონების დათმობით დამთავრდა. ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ სასამართლო შემთხვევებსაც განვიხილავთ. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ რამდენიმე შემთხვევაში ზეწოლა სახელმწიფოს მხრიდან აშკარაა. ამის პარალელურად კი ჩანს, რომ დღესაც არსებობს კითხვები ჩამორთმეული ქონების წარმოშობასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ მათი სასამართლოს გზით ჩამორთმევა ვერ მოხერხდა და სახელმწიფომ გამოიყენა ზეწოლის არასამართლებრივი ფორმები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საინტერესოა დღეს, როცა კვლავ აქტუალურია სამართლიანობის აღდგენის საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ ქონების ე.წ. დაბრუნებისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესი განხორციელდეს კანონის ფარგლებში და სამართლიანობის სახელით არ განმეორდეს ანგარიშში განხილული დარღვევები.
- ბიზნესზე ზეწოლის ერთ-ერთი ფორმაა ის შემთხვევებიც, როცა სახელმწიფო დავაში პირდაპირ არ ფიგურირებს, თუმცა სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასამართლოს ქცევა გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს სახელმწიფოს დაინტერესებაზე. მაგალითად, გვხვდება შემთხვევები, როცა სასამართლო დაჩქარებული ტემპებით განიხილავს საქმეს, რაც მხარეს მობილიზების საშუალებას არ აძლევს; საჯარო რეესტრის მიერ დაჩქარებული წესით და არასამუშაო საათებში ხდება გარიგების რეგისტრირება; სასამართლო გადაწყვეტილება დროულად არ მიეწოდება მხარეს, რაც ზღუდავს მის უფლებას კანონით განსაზღვრულ ვადაში გადაწყვეტილება გაასაჩივროს და ა.შ. წარმოდგენილ ანგარიშში განხილულია მსგავსი საქმეები. მათში ფიგურირებს ადვოკატი, რომელმაც არჩევნების შემდეგ თავად აღიარა ერთ-ერთ გახმაურებულ საქმესთან (თუმცა არა ჩვენს მიერ განხილულ კონკრეტულ საქმეებთან) დაკავშირებით მისი პროკურატურის სახელით ჩართულობა ზეწოლის განსახორციელებლად.
- არის შემთხვევები, როცა სახელმწიფოსთან დავა არ მთავრდება ქონების სრული დაკარგვით, თუმცა ქონების დაყადაღება გამოყენებულია ბიზნესზე ზეწოლად. 2008-2012 წლებში იკვეთება შემთხვევები, როცა სახელმწიფოსთან დავაში დავის გაჭიანურება და ბიზნესზე ან ქონებაზე განხორციელებული ყადაღა მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების დარღვევის საფუძველი ხდება. მსგავსი საქმეების მაგალითები სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშშიც მოიპოვება, თუმცა, სახალხო დამცველის მიმართვის მიუხედავად, მათ ნაწილზე რეაგირება დღემდე არ მომხდარა.
- საგადასახადო დავებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარღვევაა, როცა საგადასახადო ორგანოები უგულებელყოფენ 2004 წლის ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებისა ქონების რეალიზაციის შესახებ კანონის მოთხოვნებს – ახდენენ 2004 წლამდე ვალდებულებების გადახედვას. შესაბამისი ჯარიმების დაკისრების შემდეგ 2012 წლისთვის მეწარმის მიერ გადასახდელი თანხა აღწევს ნიშნულს, რომელმაც შესაძლოა ბიზნესის გაჩერება გამოიწვიოს. ამასთან, ამგვარი არათანაბარი მიდგომა ბიზნესისადმი პირდაპირ არის კორუფციული საფრთხეების შემცველი.

ზემოაღწერილ ყველა საკითხთან დაკავშირებით ანგარიშში გაანალიზებულია კონკრეტული სტატისტიკური მონაცემები, ექსპერტული შეფასებები და შემთხვევები.

1. სასამართლო სტატისტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა მოიცავს ყველა ინსტანციის სასამართლოების მაჩვენებლებს[8]. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საკმაოდ მაღალია სასამართლოსთვის მიმართვიანობის მაჩვენებელი.

მაგალითად, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2012 წლის 9 თვეში განხილული ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა 5 922–ს აღწევს, შარშან 9 თვეში კი – 5 890–ს. საინტერესოა, მაგალითად, აშშ-ს კალიფორნიის შტატში პირველი ინსტანციის სასამართლოში 2009-2010 წლებში სულ 9,652 საქმე შევიდა, როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის და დაახლოებით ამ-დენივე სარჩელი იქნა განხილული. ამ შტატში 37 მილიონამდე მოქალაქე ცხოვრობს, საქართველოს მოსახლეობაზე დაახლოებით 10-ჯერ მეტი. ***შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ საქართველოს სასამარ-თლოებში გაცილებით დიდი ოდენობით სარჩელების განხილვა უწევთ, რაც ერთის მხრივ – კანონ-მორჩილების დაბალ ხარისხთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, მეორე მხრივ კი – მაკონტროლე-ბელთა მაღალ სახელმწიფო წნეხზე მიანიშნებდეს.***

საქართველოში პირველ ინსტანციაში მიმართვიანობის თვალსაზრისით ლიდერობენ ფიზიკური და იურიდიული პირები.





მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსადმი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართვიანობა მაღალია, განაჩენები მათ სასარგებლოდ არ მსჯელობს: პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ გასულ წელს დაახლოებით 2,5-ჯერ მეტი საქმე დამთავრდა მოგებით, ვიდრე იურიდიული და ფიზიკური პირების. 2012 წელს ამ მიმართულებით მცი-რედი გაუმჯობესებაა.

8 ინფორმაციის წყარო. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი http://www.supremecourt.ge/statistics/)



ასეთია ზოგადი სტატისტიკა. თუმცა საგადასახადო დავების სტატისტიკა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის კიდევ უფრო მძიმეა:



2011-2012 წლების სასამართლო სტატისტიკა გვამცნობს, რომ სასამართლოში ამ წლებში შესული საგადასახადო დავების დაახლოებით 81 პროცენტი ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ მთავრდება. რაც, ცხადია, აისახება მომჩივანთა სასამართლოსადმი ნდობაზე და ნაწილობრივ შემდგომ ინსტანციებში მიმართვიანობაზეც.

იმავე უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, საქმეების 90 პროცენტი საპროცესო შეთანხმებით მთავრდება. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სააპელაციო სასამართლოში მიზერული რაოდენობის საგადასახადო დავაზე შედის საჩივრები. კერძოდ: 2012 წლის 9 თვეში საგადასახადო დავებზე სულ განხილულია 67 საჩივარი, ხოლო 2011 წლის განმავლობაში – 194 საჩივარი. ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლოშიც დაახლოებით 90 პროცენტზე მეტი საქმე დასრულდა.

მოგებული და წაგებული საქმეების თანაფარდობის შედარებით უკეთესი პროცენტული მაჩვენებელია უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში. საგადასახადო დავებზე განხილული საკასაციო საჩივრების მონაცემების თანახმად, 2012 წელს 9 თვეში სულ განხილულია 74 საჩივარი. აქედან 32 საქმე დამთავრდა საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, 34 კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: **სააპელაციო სასამართლოში 2012 წლის განმავლობაში შეტანილი სარჩელების სტატისტიკა მოწმობს, რომ რაც უფრო მაღალი ღირებულების არის დავა, მით ნაკლები სარჩელია შეტანილი სააპელაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები კი დაახლოებით 50/50-ზეა მხარეების სასარგებლოდ.** კერძოდ:



დავა დამთავრდა საგადასახადო ორგანოს სასარგებლოდ 32 საქმეზე. 50 ათას ლარამდე ღირებულების 13 საქმე, 50000-დან 100 000-მდე – ექვსი, 100 000-დან 500 000-მდე ოთხი, 500 000-დან 1000 000-მდე- ერთი. 1000 000-ის ზევით ერთი დავა არ არის თანხობრივი, ან თანხა არ არის დაკონკრეტებული – ოთხი საქმე.

ფიზიკური ან იურიდიული პირის სასარგებლოდ კი დასრულდა 34 საქმე. 50 ათასმდე ღირებულების 25 საქმე, 50000-დან 100 000-მდე – ოთხი, 100 000-დან 500 000-მდე ერთი, 1000 000-ის ზევით ერთი, დავა არ არის თანხობრივი, ან თანხა არ არის დაკონკრეტებული – 3 საქმეზე.

სახელისუფლებო წნეხის მასშტაბზე ზოგად წარმოდგენას ბიზნესისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლოების მიყენების სტატისტიკაც ქმნის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსა-

ხურის მონაცემების თანახმად, დღეს საქართველოში მოქმედი ბიზნეს-სუბიექტების სიაში **58 951** სუბიექტია[9].

2011 წლის მონაცემების თანახმად სასამართლოში შევიდა **826** ადმინისტრაციული საქმე, რაც მეწარმეთა საერთო რაოდენობის **1,4** პროცენტია. შესაბამისად, ამ მიმართულებით მასშტაბურ ზეწოლაზე საუბარი ვერ იქნება, თუმცა, ცხადია, ცალკე საკითხია ადმინისტრაციული ჯარიმების მოცულობა, რაც საქართველოში საკმაოდ დიდია.

ზოგადად, **2011** წლის მონაცემების თანახმად, ადმინისტრაციულ დარღვევებს შორის ლიდერობს სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა, მეწარმის მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა და გადასახადებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები ამ პერიოდში ადმინისტრაციული სარჩელები საერთოდ არ გვხვდება.



9 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ–გვერდი www.geostat.ge

2. სისხლის სამართლის საქმეები ბიზნესთან მიმართებაში

ბიზნესზე ზეწოლის ერთ-ერთი მთავარი გზა, როგორც ბიზნესის წარმომადგენლების, ისე ბიზნეს-საქმეების ადვოკატების აზრით, მათ მიმართ მიყენებულ სისხლის სამართლებრივ საქმეებზე გადის. 2011 წელს ბიზნეს-დანაშაულისთვის მიყენებული სისხლის სამართლებრივი მუხლები და შესაბამისი სარჩელების სტატისტიკა პირველი ინსტანციის სასამართლოში ასე გამოიყურება:

- **მითვისება ან გაფლანგვა** (მუხლი – 182) – სასაამრთლოში ნაშთი (წინა წლები) შესულია 33 საქმე. 2011 წელს შევიდა 125 საქმე. განაჩენის გამოტანით განხილულია – 115. პროკურორის მოთხვნით გადაცემულია 1 საქმე. სულ დასრულებულია 116 საქმე. დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი 42-ია.
- **გადასახადისგან თვის არიდება** (მუხლი 218.) – ნაშთი 24. 2011 წელს სასამართლოში სულ შევიდა 59 საქმე. განაჩენის გამოტანით დასრულდა 54. წარმოება შეწყდა 1 საქმეზე. სულ დასრულდა 55.
- **საბაჟო წესების დარღვევა** (მუხლი 214). ნაშთი 6. შევიდა განსახილველად 51 საქმე. განაჩენის გამოტანით დასრულდა სულ 50.
- **სხვა ეკონომიკური დანაშაულები** (მუხლები 183, 185,196, 198, 199, 213. 215, 221) – ნაშთი 27. შარშან შევიდა სულ 226 საქმე, რომელთაგან განხილულია განაჩენის გამოტანით 217. შეწყვეტილია წარმოება 1 საქმეზე. გადაცემულია პროკურატურის მოთხოვნით 1 საქმე. სულ დასრულებუელია 219 საქმის განხილვა.

2011 წელს ბიზნეს-დანაშაულისთვის წარდგენილი სარჩელები



აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით უფლებადამცველთა მთავარი პრეტენზიები უკავშირდება არა იმდენად საქმეების შინაარსს, რამდენადაც ამ მუხლებით დაკავებულ ბიზნესმენთათვის წინასწარი პატიმრობის განსაზღვრას.

ადვოკატები ამბობენ, რომ ზეწოლა ბიზნესზე ზუსტად ამ პერიოდში ხორციელდებოდა და ქონების და ბიზნესის ჩამორთმევა საპროცესო გარიგების გზით სრულდებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის საქმეების ანალიზი საკმაოდ გართულებულია. პირველ რიგში იმის გამო, რომ საქმეები, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა გამოითხოვა სასამართლოდან, უმეტესწილად დაშტრიხულია და მისი დეტალური ანალიზი შეუძლებელია. ამას გარდა, ბიზნესმენები, როგორც წესი, თავს არიდებდნენ (და როგორც აღმოჩნდა, მათი დიდი ნაწილი დღესაც, ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც თავს არიდებს) საკუთარი პოზიციების ღიად დაფიქსირებას.

ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა, სასამართლოდან ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვის პალალელურად, სასამართლო საქმეების ანალიზისთვის გამოიყენა შემდეგი წყაროები: ბიზნესსაქმეებზე მომუშავე ადვოკატებთან პირდაპირი ინტერვიუები; მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია; სახალხო დამცველის ანგარიშები; მედია და სხვა. ჩვენი ერთ-ერთი წყარო იყო ასევე საინიციატივო უფლებადამცველთა ჯგუფი – „ბიზნესმენები საქართველოში თავისუფალი ბიზნესისათვის“, რომელმაც საანგარიშო პერიოდში 147-მდე ბიზნესმენის სია გამოაქვეყნა, მათი აზრით, ისინი კანონდარღვევით არიან დაკავებული.

ცხადია, ყველა საქმის შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. თუმცა, **ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აზრით, „ბიზნესმენები საქართველოში თავისუფალი ბიზნესისათვის“ – ჯგუფის მიერ წარმოდგემილ სიაში უდავოდ იკვეთება ერთი მთავარი ტენდენცია: სამართლებრივი დევნის დაწყებამდე სიის წევრი ყველა პირი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი იყო, დღეისთვის კი მათი უმეტესობის ბიზნესის მფლობელად სხვა პირი (თუ პირები) გვევლინება, ან ბიზნესი დახურულია.**

შესაბამისად, ლეგიტიმურია ამ საქმეებზე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის გაანალიზება.

- თუ მსჯავრდებული ბიზნესმენების დაპატიმრების საფუძვლებს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ზემოთ მოცემული ოფიციალური სტატისტიკისგან განსხვავებით, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა ნაწილს მიყენებული აქვს ისეთი მუხლები, როგორიცაა 339 მუხლი – ქრთამის მიცემა; 314-ე – ჯაშუშობა; 260-ე – ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება და ა.შ. ზოგადი სურათი ასეთია: ბიზნესმენთა ნაწილი სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით იხდის, რაც ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებას, გასაღებას ან გამოყენებას გულისხმობს.
- მეორე ადგილზეა 194-ე მუხლი, რაც კვალიფიცირდება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ანუ ფულის გათეთრება.
- ბიზნესმენთა ნაწილი დაპატიმრებულია 180-ე მუხლით (თაღლითობა) და 182-ე მუხლით (მითვისება ან გაფლანგვა).
- გასამართლებულები არიან 286-ე (ეგმ-ის სისტემის ექსპლუატაციის წესების დარღვევა) მუხლით.
- მეწარმეებს წაყენებული აქვთ 314-ე (ჯაშუშობა), 260-ე (ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაული), 223-ე (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) მუხლებიც, ჭარბობს 193-ე (ცრუ მეწარმეობა) და 214-ე (საბაჟო წესების დარღვევა) მუხლებიც.

ცხადია, საქმეების დეტალურად შესწავლის გარეშე ძნელია მათ უსაფუძვლობაზე საუბარი. თუმცა, გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა აქ შესაძლებელია, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა შეფარდებული მუხლები ამ მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს შეადარა. ანალიზმა აჩვენა, რომ ერთი და იგივე დანაშაულისთვის ბიზნესმენთა ნაწილს 1-2 წელი, ზოგს კი – 17 წელი აქვს მიყენებული.

საქმეების უმეტესობა დამთავრებულია საპროცესო გარიგებით, რაც ამ საქმეებზე საზოგადოებრივ კონტროლს ფაქტობრივად გამორიცხავს.

3. საპროცესო შეთანხმების გამოყენების ფორმები და მეთოდები

განხილული საქმეებიდანაც ჩანს, რომ ბიზნესმენთა საქმეების უმეტესობა საპროცესო გარიგებით დასრულდა. სასამართლო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლო პროცესების დამთრგუნველი უმეტესობა, თითქმის 90 პროცენტამდე სწორედ საპროცესო გარიგებით სრულდება, კერძოდ:

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, 2012 წლის 9 თვეში საქართველოს მასშტაბით პირველი ინსტანციის სასამართლოში სულ შევიდა 7668 საქმე, საიდანაც საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 6703, რაც ამ პერიოდში შესულ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობის 88,1 პროცენტია. 2011 წლის 9 თვის განმავლობაში საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 9209 საქმე, ეს ამ პერიოდში სასამართლოში შესულ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობის 87,3 პროცენტია. 2011 წელს საპროცესო შეთანხმებით პირველი ინსტაციის სასამართლოში სულ შევიდა 14264 საქმე, საიდანაც საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 12718 საქმე, რაც მთლიანობაში განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობის 87,5 პროცენტია.

საქართველოში დღემდე არაერთგვაროვანი მიდგომაა საპროცესო გარიგების ინსტიტუტისადმი. გამჭვირვალობის კუთხით იგი, რა თქმა უნდა, ქმნის პრობლემებს, რადგან საპროცესო გარიგების დეტალები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას; მეორე მხრივ, ეს არის დავის გადაწყვეტის სწრაფი და ეფექტური საშუალება. ბიზნეს-დავებზე მომუშავე ადვოკატები, რომლებთანაც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ინტერვიუები[10] ჩაატარა. ინტერვიუერები აცხადებენ, რომ 2004 წელს, როცა საქართველოში დაინერგა საპროცესო შეთანხმება, იგი უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად მოიაზრებოდა, მაგრამ გარიგების ამ ფორმამ საქართველოში დამახინჯებული სახე მიიღო.

ადვოკატები აღნიშნავენ, რომ საპროცესო გარიგება დღეს არა მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენება – დაკავებული აღიარებს დანაშაულს, გამოძიებას ეხმარება სხვა დანაშაულის გახსნაში, და ამის შემდეგ შეთანხმებისამებრ იხდის გარკვეულ თანხას. დღეს ეს არის იძულების გზა, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლოს გარეშე დააკავონ ადამიანი და მასზე განახორციელონ ფინანსური ზეწოლა.

ადვოკატების თქმით, საგადასახადო და ფინანსურ სამსახურებთან დავის დროს, ხშირ შემთხვევაში საშემოსავლო სამსახურის მოქმედება მართლაც ლეგიტიმური იყო. მითუმეტეს საწყის ეტაპზე არგადახდების მასშტაბი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე 2011-2012 წლებში. თუმცა იურისტებს პრეტენზია აქვთ იმ ფორმაზე, როგორც ხდება ქონების დაყადაღება და შემდეგ ჩამორთმევა.

ბიზნეს-დავებზე მომუშავე ადვოკატთა აზრით, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის დავების დროს პრობლემა კიდევ ისაა, რომ ბიზნესმენების უმრავლესობა ხმამაღლა არ ასახელებეს თავის პრობლემას და ურჩევნია სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გზით შეინარჩუნოს ბიზნესი. ვინც არ წავიდა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე, ყველა მათგანს მოუწია საქართველოდან წასვლა და ამ გზით მაინც დაკარგეს ყველაფერი. თუმცა პრობლემაა ისიც, რომ საგადასახადო სადამსჯელო ღონისძიებები არ არის ერთჯერადი. კომპანიები, რომლებიც სახელმწიფოსთან გარიგებაზე წავიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იმავე პრობლემის წინაშე დგებოდნენ

10 პროექტის ფარგლებში პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ადვოკატებთან: დიმიტრი გაბუნია, თამაზ ინაშვილი, ლილი გელაშვილი, ნანა ფრიდონაშვილი, მალხაზ ჯანგირაშვილი;

4. ბიზნესის ტიპური პრობლემები კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ შესწავლილი შემთხვევების და პირდაპირი ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა ტიპური საკითხები, რომელთაც კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე განვიხილავთ.

პირველი შემთხვევა ზემოთ მოხსენებული სიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ბაკურ კიღურაძეს ეხება. საქმე მომზადებულია სასამართლო გადაწყვეტილების, ბაკურ კიღურაძის მიერ საპატიმროდან გამოგზავნილი წერილების, კიღურაძის ადვოკატის მიერ მოწოდებული ოფიციალური დოკუმენტაციის (ხელშეკრულებები, ექსპერტიზის დასკვნები), მთავრობის და მერიის ბრძანებულებების და სხვა საჯარო დოკუმენტების საფუძველზე;

1. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს საქმეები, სადაც ბიზნესმენისა და სახელმწიფოს ურთიერთობა და ქონებრივი დავები საბოლოოდ ბიზნესმენის დაკავებით და მის მიერ ქონების დათმობით მთავრდება. ბაკურ კიღურაძის საქმე ამ თვალსაზრისით საინტერესოა.

ბაკურ კიღურაძეშპს „უტას“ გენერალური დირექტორი იყო. იგი ამავდროულად ორგანიზაცია „გლობალიზაციის შემსწავლელი საერთაშორისო ინსტიტუტის“ დამფუძნებელია. 2010 წლის 13 ივნისს ბაკურ კიღურაძე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. წინამდებარე ანგარიშის ავტორების მიზანი არაა ჯაშუშობის მუხლთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთება. მითუმეტეს, რომ კიღურაძის საქმეს გრიფით საიდუმლო ადევს. აქედან გამომდინარე, უცნობია კონკრეტულად რა დანაშაულისთვის ან რა მტკიცებულების საფუძველზეა იგი დაპატიმრებული. თავად კიღურაძე თავს უდანაშაულოდ თვლის, დანაშაულს არ აღიარებს და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ევროპის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოს გზით აპირებს. მისი განცხადება სტრასბურგის სასამართლომ წარმოებაში უკვე მიიღო.

ანგარიშისთვის საინტერესოა შემდეგი ფაქტი: კიღურაძის ჯაშუშობის საქმის პარალელურად, საქართველოს სასამართლოებში ამჟამადაც მიმდინარეობს რამდენიმე დავა მისი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ საქმეში ფიგურირებს ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი, რომელმაც რადიო “ობიექტივის“ ეთერით 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსნების უკანონო გარიგებებში იყო ჩართული. ყავლაშვილის გვარი ფიგურირებს კიღურაძესთან დაკავშირებულ ბოლო დავაშიც და ტელეკომპანია „პირველ სტერეოსთან“ დაკავშირებულ დავაშიც.

ეს ფაქტი პრეტენზიებს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შესახებ, რაზეც ციხიდან გამოგზავნილ წერილში ბაკურ კიღურაძე საუბრობს, გარკვეულ დამაჯერებლობას სძენს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს საქმე სამართალდამცავთა დაინტერესების საგნად უნდა იქცეს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, თუ კიღურაძის ბიზნეს-ბიოგრაფიას და საქმეებს გადავხედავთ, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვები მის მიერ სახელმწიფო ქონების არაკეთილსინდისიერი გზებით მოპოვების შესახებ. თუმცა პრობლემა იმაშია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები და დავების ისტორია მოწმობს, რომ ქონების გარკვეულ ნაწილზე დაუსაბუთებელი წარმოშობა და არაკეთილსინდისიე-

რად მითვისება დადგენილი არ ყოფილა და სასამართლო განაჩენი ამ მიმართულებით უმეტეს შემთხვევაში გამოტანილი არ არის. ის ფაქტი, რომ ქონების ნაწილის დათმობა ძირითადად მორიგების გზით ხდებოდა, ნაწილზე კი სასამართლომ დღემდე ვერ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, საკმაოდ ტიპურია საქართველოში ბოლო პერიოდში ბიზნესმენის და სახელმწიფოს ურთიერთობის პრაქტიკაში. გარდა ამისა, ამ საქმეში გვხვდება ბიზნეს-მოწილის თავსმოხვევის ფაქტიც.

ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით გიორგი ყავლაშვილს, მაგრამ იგი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. საბოლოოდ ამ პროცესს და ინვესტორის ძიებას მოჰყვა წილებზე დავა. მოგვიანებით კი კიღურაძე დააკავეს. დელისის სავაჭრო ცენტრის საძირკველის ჩაყრას საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო, თუმცა მშენებლობა დღემდე შეჩერებულია.

თუ შევაჯამებთ ზემოხსენებულს, ფაქტია, რომ ბიზნესმენი, რომელიც 2003 წლამდე საკმაოდ სერიოზული ქონებისა და ბიზნესის მფლობელი იყო, 2007-2012 წლებში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა თუ სახელმწიფოსთან „გარიგებების“ შედეგად ფაქტობრივად ბიზნესისა და ქონების გარეშეა დარჩენილი. ქონების ნაწილზე სასამართლოში დავა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. თავად ბიზნესმენი კი დაკავებულია ჯაშუშობის მუხლით. ამასთან, ბიზნესმენი თავის წერილებში ასახელებს უშუალო პასუხისმგებელ პირებს, ასევე შუამავლებს (რომელთა მოხსენიებისგან ჩვენ თავი შევიკავეთ) და საუბრობს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ზეწოლის ფორმებზე. ვფიქრობთ, ეს საქმე უდავოდ საჭიროებს გადახედვასა და დამატებით გამოძიებას.

ბიზნესზე ზეწოლის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ის შემთხვევებიც, როცა სახელმწიფო პირდაპირ არ ფიგურირებს დავაში, თუმცა სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასამართლოს ქცევა გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს სახელმწიფოს დაინტერესებაზე. ასეთი საქმეების მაგალითად, ვფიქრობთ, გამოდგება მაკა ასათიანის საქმე, ასევე „პირველი სტერეოს“ საქმე. ანგარიშში არ ვაპირებთ მტკიცებით ფორმაში ვისაუბროთ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევაზე, თუმცა შედარებით დეტალურად მიმოვიხილავთ, მაგალითად, მაკა ასათიანის კერძო დავის საკითხს და სახელმწიფოს როლს ამ დავაში.

2012 წლის 23 აგვისტოს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზეპირი მოსმენით განუხილველად დატოვა შპს „აკას“ საქმე (№ -1080-1012-2012), რომლის მიხედვითაც საბოლოოდ ძალაში შევიდა საააპელაციო სასამართლოს 11 ივნისის განჩინება და მაკა ასათიანს, სალომე ასათიანს და ლუიზა თავართქილაძეს მათი კუთვნილი წილებიდან შპს „აკაში“ (მერსედესის წარმომადგენლობა საქართველოში)

---

11 ის, რომ გიორგი ყავლაშვილი იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსნების უკანონო გარიგებებში იყო ჩართული, თავად ადვოკატმა ოფიციალურიად რადიო "ობიექტივის" ეთერით განაცხადა. ყავლაშვილის აღიარებით, მან როგორც შპს "გამას" დირექტორმა კომპანია "ბურჯი" მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას მითითებით შეისყიდა. კომპანია „გამამ", სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით, დაყადაღებული "ბურჯის" ქონება აუქციონზე 8 761 513 ლარად აგვისტოში იყიდა. თუმცა, ყავლაშვილის ინფორმაციით, კომპანია "გამას" შპს "ბურჯის" შესაძენად აუქციონის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა რეალურად არ გადაუხდია. ცნობისთვის, ბიძინა ივანიშვილის კომპანია "ბურჯი" კოალიცია "ქართულ ოცნებაში" შემავალი პარტიებისთვის სატრანსპორტო საშუალებების მიქირავებისა და ოფისების გარემონტების გამო სასამართლომ ზაფხულში უკანონო შემომწირველად სცნო და 10 მილიონზე მეტი ლარით დააჯარიმა. "ბურჯის" ქონება აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აუქციონზე გასაყიდად 2012 წლის 26 ივლისს გაიტანა. იმავე დღეს, 26 ივლისს, საჯარო რეესტრმა დაარეგისტრირა ახალი კომპანია – შპს "გამა". სწორედ აღნიშნულმა ფირმამ შეიძინა 8 761 513.55 ლარად შპს "ბურჯის" ქონება 2 აგვისტოს. აღსანიშნავია, რომ გიორგი ყავლაშვილის გვარი ტელეკომპანია "პირველ სტერეოსთან" დაკავშირებულ დავაშიც ფიგურირებდა. მაშინ, როცა არხის დამფუძნებელი დავით ზილფიმიანი ტელეკომპანიის დირექტორობიდან გაათავისუფლეს და ახალი ხელმძღვანელი ვასილ კობაიძე დაინიშნა, ყავლაშვილი "პირველ სტერეოში" სწორედ კობაიძის წარმომადგენლებთან მიავლინეს.

12 საქმე მომზადებულია სასამართლო გადაწყვეტილების, მაკა ასათიანის საჯარო გამოსვლების, ასათიანის ადვოკატის დიმიტრი გაბუნიას მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე;

საერთო ჯამში ჩამოერთვათ 20-პროცენტიანი წილი, რომლის მესაკუთრედაც სასამართლომ ყოფილი პარტნიორი დავით ძოწენიძე აღიარა.

აღსანიშნავია, რომ: დავით ძოწენიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წელს მიმართა. შპს „აკას“ პარტნიორმა პრეტენზია საკუთარ წილზე კომპანიასთან პარტნიორული ურთიერთობების გაწყვეტიდან 12 წლის შემდეგ გამოთქვა – ანუ საქმის ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ.
მაკა ასათიანი და მისი ადვოკატი ამ ფაქტს მაკა ასათიანისა და ტელეკომპანია „მაესტროს“ ინტერესების გადაკვეთას უკავშირებენ. ამ მოსაზრებას ჩვენ მტკიცებით ფორმაში ვერ გავიზიარებთ. თუმცა, დროში თანხვედრას ნამდვილად აქვს ადგილი.

ამასთან, გარდა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსისა, აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვის ვადები თითქმის უპრეცედენტოდ იყო დაჩქარებული. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, შპს „აკას“ საქმის განხილვა უმაღლეს სასამართლო ორგანოში 14 დღეში დასრულდა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს და ასათიანებს 859 195 ლარის გადასახდელად აღსრულების ფურცელიც 5 დღეში გამოუწერეს.[13]

დაჩქარებულ ვადებში საქმის საკასაციო წესით განხილვა ამყარებს ეჭვებს სასამართლოს მიკერძოებულობის შესახებ. ასათიანების ოჯახის ინტერესების დამცველები თვლიან, რომ საქართველოში დაირღვა საკუთრების და სამართლიანი სასამართლოს უფლება, რის გამოც მათ სამართლის დასადგენად სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს. აქვე აღსანიშავია, რომ დავის მონაწილე – დავით ძოწენიძე „აკას“ წილთან დაკავშირებით დაწყებულ დავაში სახელმწიფოსთან რამე სახის გარიგებას კატეგორიულად გამორიცხავს.

სასამართლოში და საჯარო სამსახურებში კერძო დავის დაჩქარებული წესით განხილვასთან გვაქვს საქმე ტელეკომპანია „პირველ სტერეოსთან“ დაკავშირებულ დავაშიც. აქ ასევე იკვეთება ის ფაქტიც, რომ მხარეს ინფორმაცია მის ქონებზე ყადაღის დადების შესახებ დროულად არ მიუღია, რის გამოც ვერ შეძლო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ტელეკომპანია „პირველ სტერეოში“, რომლის 22 პროცენტს ფლობს დავით ზილფამიანი (იგი „სტერეო+ის“ 100 პროცენტიანი წილის მფლობელია), ხოლო 65 პროცენტს ვასილ კობაიძე, თავდაპირველად დაიწყო ქონებრივი დავა, რომელიც შემდეგ თანამდებობრივში გადაიზარდა. დავით ზილფამი-

---

13 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 59. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა. სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განსახილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა. მუხლი 201. სასამართლოს დავალებები მოპასუხისადმი 1. საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე: ა) უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. თავი მუხლი 401. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება 1. საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, იგი წარმოებაში მიიღება ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად მუხლი 403. საქმის განხილვის დანიშვნა საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

ანის განცხადებით, პრობლემები მას შემდეგ დაიწყო, რაც შვილის სახელზე, რომელიც იტალიის მოქალაქეა, 11 მაისს "სტერეო პლუსი" გადააფორმა და ტელეკომპანია "მეცხრე არხთან" ტექნიკურ მომსახურებაზე დადო კონტრაქტი. ჩვენ ასევე ვერ დავადასტურებთ ამ კავშირის უტყუარობას, თუმცა, სახეზეა როგორც დროში თანხვედრა, ისე რამდენიმე დეტალი:

„პირველი სტერეოს" ყოფილი დირექტორი ამბობს, რომ არ მიუღია არანაირი დოკუმენტი ყადაღის დადებასთან დაკავშირებით. ანუ სასამართლოდან ოფიციალური წერილი, ოფიციალური დოკუმენტები არ მისვლია. შესაბამისად მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეპროტესტებინა და შეეტანა თავისი წერილობითი პასუხი აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ საქმეშიც ფიგურირებს ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი, იგი ამ შემთხვევაში „პირველი სტერეოს" საკონტროლო პაკეტის მფლობელის ადვოკატი იყო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე 2012 წლის 1 ოქტომბრის, ანუ არჩევნების შემდეგ, 2012 წლის 8 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე დავით ზილფამიანის სარჩელი მოპასუხეების შპს „ტელეკომპანია პირველი სტერეოს" პარტნიორის ვასილ კობაიძის მიმართ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე შპს "ტელეკომპანია I სტერეოს" 2012 წლის 18 მაისის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობას მოითხოვდა[14].

სასამართლოს გადაწყვეტილების არადროული მიწოდება, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად აპრობირებული მეთოდია. ეს ზღუდავს მხარის მიერ საქმის გასაჩივრების პერსპექტივას. ასეთი დაევები გვხვდება საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობის პროცესში და, საბოლოოდ, ჯარიმების მასშტაბის გაზრდითა და ქონების დაყადაღებით მთავრდება.

არის შემთხვევები, როცა სახელმწიფოსთან დავა არ მთავრდება ქონების სრული დაკარგვით, თუმცა ქონების დაყადაღება გამოყენებულია ბიზნესზე ზეწოლის მიზნით. 2008-2012 წლებში გამოკვეთილია შემთხვევები, როცა სახელმწიფოსთან დავაში დავის გაჭიანურება და ბიზნესზე ან ადამიანის ქონებაზე განხორციელებული ყადაღა მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების დარღვევის საფუძველი ხდება. მსგავსი საქმეების მაგალითები მოიპოვება სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშშიც, თუმცა, სახალხო დამცველის მიმართვის მიუხედავად, მათ ნაწილზე რეაგირება დღემდე არ მომხდარა.

ტატიანა ჯანიქის საქმე – ყადაღის დადება. ტ. ჯანიქს 2008 წლის 22 ოქტომბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მისი შვილების, როგორც მასთან დაკავშირებული პირების, ქონებას კი ყადაღა დაედო.

აღნიშნული საქმე ორი კუთხით არის საინტერესო: პირველი გახლავთ ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2009 წლის 1 სექტემბერს პროკურორის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ტატიანა ჯანიქის მიმართ, 2011 წლის 17 მარტამდე პროკურატურას არ მიუღია გადაწყვეტილება (ანუ გასული იყო 1,5 წელზე მეტი).

მეორე მიმართულება, სავარაუდოდ, საკანონმდებლო საკითხებთანაც არის დაკავშირებული:

---

14 საქმე მომზადებულია სასამართლო გადაწყვეტილების, დავით ზილფამიანის საჯარო გამოსვლების, ადვოკატის მიერ მოწოდებული მასალების, საქალაქო სასამართლოს განცხადების საფუძველზე;

კანონმდელობით პირს, რომელიც არ არის პროცესის მხარე (არის მოწმე) და ამავდროულად, დაყადაღებულია მისი ქონება (შეზღუდულია მისი საკუთრების უფლება), არ აქვს უფლება მოითხოვოს ყადაღის გაუქმება (საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს), თუნდაც ამის კანონიერი საფუძველი არსებობდეს.სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნორმათა მსგავსი ფორმულირება არღვევს საკუთრების უფლებას, ასევე ხელყოფს პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს.

შესაბამისად, პირობებში, როცა დაზარალებულ მხარეს (ანუ მხარეს, რომელსაც ყადაღას არ უხსნიან ქონებაზე) არ აქვს სასამართლოში ყადაღის მოხსნის მოთხოვნით სარჩელის წარდგენის უფლება, ხელსუფლებას, პროკურატურის სახით, რჩება უმნიშვნელოვანესი ზეწოლის ბერკეტი საქმეში მოწმის სახით მონაწილე მოქალაქეზე, მათ შორის ბიზნესმენზე. ქონების, მათ შორის ბიზნესის 1,5 და მეტი წლით დაყადაღებამ, მოსალოდენლია, გამოუსწორებელი ზარალი მიაყენოს ნებისმიერ ბიზნესს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ზოგ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოები საჯარო სამსახურებიდან (მაგალითად, საჯარო რეესტრიდან) საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დოკუმენტაციის ამოღებას ახორციელებენ, რაც ასევე საკუთრებით პრობლემებს ქმნის. ასეთი შემთხვევების მაგალითი შემდეგი საქმეა:

თენგიზ უბილავას საქმე – საგამოძიებო ორგანოს მიერ დოკუმენტაციის ამოღება.

თენგიზ უბილავამ 2008 წლის 14 ივნისს მცხეთის რაიონის სოფელ გლდანში შეიძინა მიწის ნაკვეთი. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა სანოტარო წესით. 2009 წლის 7 დეკემბერს მან მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის თავის საკუთრებად დარეგისტრირების მოთხოვნით. თუმცა, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არ დაარეგისტრირა უძრავი ქონების საკუთრება, ვინაიდან უძრავ ნივთთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საგამოძიებო ორგანოების მიერ იყო ამოღებული. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2008 წლიდან 2011 წლის სექტემბრამდე მისთვის უცნობი იყო გამოძიების მიმდინარეობის შედეგები, რის გამოც განმცხადებელი ვერ ახერხებდა თავის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე სახლის აშენებას.

საგადასახადო დავებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარღვევაა, როცა საგადასახადო ორგანოები უგულებელყოფენ 2004 წლის ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულების ქონების რეალიზაციის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ახდენენ 2004 წლამდე ვალდებულებების გადახედვას, შესაბამისი ჯარიმების დაკისრების შემდეგ კი 2012 წლისთვის მეწარმის მიერ გადასახდელი თანხა აღწევს ნიშნულს, რომელმაც შესაძლოა ბიზნესის გაჩერება გამოიწვიოს.

ასეთი მაგალითია სავანელი ვ. გ.- ს საქმე. საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშშია მოწოდებული. საგადასახადო მოთხოვნა საგადასახადო და საჯარიმო თანხების დარიცხვის შესახებ, გადახდის ადგილი და წესი გადამხდელს ეცნობა მხოლოდ 2009 წლის 13 იანვრის საგადასახადო მოთხოვნით, ანუ დავალიანების შესაძლო წარმოშობიდან 6 წლის შემდეგ. ამასთან, „ამინისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონიც უკვე დიდი ხანია შესული იყო ძალაში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამით დაირღვა 2004 წლის 24 დეკემბრის „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ კანონი.

წინამდებარე საქმე და სხვა მსგავსი საქმეები, გარდა იმისა, რომ სავარაუდოდ წარმოადგენენ კანონდარღვევას (რაც სასამართლოს დასადგენია), ქმნიან ე.წ. ამნისტიის გადახედვის პრეცედენტს, რაც შერჩევითობისა და არათანაბარი მიდგომის საფრთხეს აჩენს.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება 2008-2012 წლებში ბიზნესზე ზეწოლისთვის საკმაოდ აქტიურად იყენებდა ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა;

1. საგადასახადო შემოწმება (მათ შორის, ამინისტირებული პერიოდის); იმის პერსპექტივით, რომ გასაჩივრების შემთხვევაში 100-დან 81 საქმეს საგადასახადო სამსახური იგებს;

2. ქონების დაყადაღება და ყადაღის მოხსნის გაჭიანურება, მიუხედავად იმისა, რომ ამის იურიდიული საფუძველი არ არსებობდა;

3. სასამართლო და სხვა იურიდიული პროცედურების უპრეცედენტო დაჩქარება, სასამართლო გადაწყვეტილების მიწოდების დაგვიანება და სხვა, ერთი შეხედვით ვიწრო პროცედურული საკითხები, რათა მხარეს ვერ მოეხდინა სამართლებრივი რეაგირება;

4. ბიზნესში მოწილის თავსმოხვევა, პროკურატურის სახელითა და კონკრეტული ადვოკატის პროცესში ჩართვით;

5. წინასწარი დაკავება, რომლის დროსაც ხდებოდა საპროცესო გარიგების დადება; საპროცესო გარიგების მთავარი შედეგი კი ბიზნესის და ქონების დაკარგვა გახლდათ;

6. საპროცესო გარიგების მიუღწევლობის შემთხვევაში გვხვდება ბრალის დამძიმებისა და ზოგ შემთხვევაში ისეთი მუხლების, მიყენების ფაქტები, როგორიცაა „ჯაშუშობა"; ამასთან, რადგან ამ მუხლით განხილული საქმეები გასაიდუმლოებულია, მუხლების მიყენების კანონიერების შემოწმება საზოგადოების მხრიდან პრაქტიკულად შეუძლებელია;

7. ბიზნესის წარმომადგენლებისადმი არათანაბარი მიდგომა საგადასახადო სამსახურების მხრიდან, რაც გამოიხატება ანგარიშების დაყადაღებისა და საგადასახადო პროცედურების არათანაბარ გამოყენებაში სხვადასხვა ბიზნეს-სუბიექტების მიმართ.

ეს და მსგავსი გადაცდომები ნათელყოფს, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია ელიტური კორუფციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა:

- სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ტენდენციები; ფავორიტიზმი სახელმწიფოს მხრიდან და შიდა გარიგებები ბიზნესის ცალკეულ წარმომადგენლებთან;

- სასამართლო სისტემა ხასიათდება პოლიტიკური ზეგავლენით. ძლიერია მთავრობის გავლენა სასამართლო დავების გადაწყვეტილებებზე, მთელ რიგ შემთხევებში სახელმწიფოს ზეგავლენის გამო მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა, რაც ნიშნავს რომ სასამართლო სისტემა არ არის დამოუკიდებელი ქვეყანაში.

- გაუმჭვირვალე სასამართლო სისტემა ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში და იწვევს უნდობლობას საერთაშორისო ინვესტორების თვალში.

ელიტური კორუფცია პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. არსებობს მთელი რიგი კვლევების, მათ შორის მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც ადასტურებენ კავშირს ქვეყანაში არსებული დაუკვირვებადი ეკონომიკის ზომასა და კორუფციას შორის. ამასთანავე, აღსანიშნავია რომ ელიტური კორუფციის შემთხვევაში ეს კავშირი კიდევ უფრო მყარია. ქვეყნებში სადაც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციას აქვს ადგილი, უფრო დიდია არაფორმალური ეკონომიკის ზომა მშპ-სთან მიმართებაში. ელიტური კორუფცია ქმნის ხელოვნურ ბარიერებს ბიზნესისთვის ბაზარზე შესაღწევად, შესაბამისად იქმნება არახელსაყრელი ბიზნეს გარემო, იზრდება ბიზნეს რისკები, რადგან სახელმწიფოს მხრიდან ხშირია არაპროგნოზირებადი პოლიტიკური გადაწვეტილებები.

ამასთანავე, არაფორმალურ ეკონომიკას ახალისებს საგადასახადო მარეგულირებლების პოლიტიკურად მოტივირებული წნეხი; ასევე, დაუკვირვებადი ეკონომიკა მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია კანონის უზენაესობა და დაუცველია კერძო საკუთრების უფლება.

2012 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული რეგიონალური ანგარიშის მიხედვით, საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის ზომა მშპ-ს თითქმის 30%-ია, რაც აღემატება უზბეკეთის, ბელორუსის, თურქეთის, ლიტვის, ყირგიზეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ხორვატიის და სხვა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის მონაცემებს. არაფორმალური საქმიანობა გადასახადების გვერდის ავლით ხორციელდება რაც თავისთავად ვნებს საჯარო ფინანსებს. ანგარიშში აღნიშნულია რომ ძირითადი ფაქტორი რაც განაპირობებს არაფორმალური ეკონომიკის მაღალ მაჩვენებლს არის კორუფცია, არასამართლიანი საგადასახადო რეგულაციები, ბიზნესის საწარმოებლად შექმნილი უთანასწორო პირობები, რაც ძირითადად გამოიხატება მონოპოლიების არსებობასა და თავისუფალი კონკურენციის დაბალ მაჩვენებელში. საქართველოს შემთხვევაში ზემოაღნიშნული მიზეზებიდან განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო მარეგულირებლების წნეხი და ინსტიტუციების ხარისხი. მარეგულირებლების წნეხი მოიცავდა არათანაბარ პირობებში მოქცეულ ბიზნესებს, მონოპოლიებს, რაც ცალკეული ბიზნესების მიერ ბაზარზე დომინირებითაა გამოხატული, ინსტიტუციებიდან გამოყოფილი იყო სასამართლო სისტემის გაუმართაობა, გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზი სწორედ ელიტურ კორუფციაში უნდა ვეძებოთ. ძირითადი რეკომენდაციები არაფორმალური ეკონომიკის მოცულობის შესამცირებლად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ ბიზნესის მარეგულირებელი ინსტიტუციების გამუჯობესება, რაც გამოიხატება რეგულაციების სამართლიან აღსრულებაში, ბიზნესის დეპოლიტიზირებაში, რათა ბიზნესს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობები და შეექმნას სამართლიანი გარემო;

- ✓ გაიზარდოს გამჭვირვალეობის ხარისხი სახელმწიფო ინსტიტუტებში;

- ✓ განხორციელდეს რეფორმა და შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა;

- ✓ დაცული იქნას კერძო საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა.

ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24, მეოთხე სართული, 0162 თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305
e-mail: info@eprc.ge
www.eprc.ge